პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს

სხდომის ოქმი № 3

ქ. თბილისი **20.02.2020**

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);
თამაზ ბახტაძე - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);
მარიკა ზაქარეიშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (საბჭოს მდივანი);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი;
ნინო ტალიაშვილი - დამოუკიდებელი ექსპერტი (საბჭოს წევრი);
ნიკოლოზ მესხიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების კოორდინატორი;
ელისო ბარბაქაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
ნინო ბაბალაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

იურიდიული პირების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი
გიორგი ყუბანეიშვილი - ჯანდაცვის პროგრამის მენეჯერი
მარიამ მიქაძე - სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელი
ია ადეიშვილი - ოფიცერი

შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი
ნანა ჯანაშია - სასწავლო დეპარტამენტის უფროსი
ირმა ნოზაძე - ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
კობა არაბული - მოკლევადიანი პროგრამების ხელმძღვანელი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტი:

გიორგი ბერია

საბჭოს სხდომა დაიწყო 18:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა, რომ სხდომას ესწრებოდა საბჭოს 7 წევრი და გამოაცხადა, რომ ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასისთვის პროფესიული მომზადების პროგრამის - შინმოვლა /00405/ - განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასისთვის პროფესიული გადამზადების პროგრამის - შინმოვლა /00404/ - განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული გადამზადების პროგრამის - ეკო/სასოფლო ტურისტული მიმართულების ტუროპერატორი /00365/ - განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
4. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული გადამზადების პროგრამის -

რეგიონული დონის გამყოლი (სახაზო) გიდი /00366/ - განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
5. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული გადამზადების პროგრამის - ტუროპერატორი - რეგიონული დონე /00367/ - განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
6. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული გადამზადების პროგრამის - ქალაქის/დედაქალაქის გიდი /00368/ - განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების კოორდინატორმა, ლანა გაჩეჩილაძემ, შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, ა(ა)იპ - საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასისთვის პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხები განხილულიყო ერთ საკითხად, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამები - პროფესიული გადამზადების პროგრამა ,,შინმოვლა'' და პროფესიული მომზადების პროგრამა ,,შინმოვლა'', სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის კუთხით, ერთმანეთთან კავშირშია.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა შეცვლილი დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასისთვის პროფესიული მომზადების პროგრამის - შინმოვლა /00405/ და პროფესიული გადამზადების პროგრამის - შინმოვლა /00404/- განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული გადამზადების პროგრამის - ეკო/სასოფლო ტურისტული მიმართულების ტუროპერატორი /00365/ - განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული გადამზადების პროგრამის - რეგიონული დონის გამყოლი (სახაზო) გიდი /00366/ - განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
4. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული გადამზადების პროგრამის - ტუროპერატორი - რეგიონული დონე /00367/ - განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
5. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული გადამზადების პროგრამის - ქალაქის/დედაქალაქის გიდი /00368/ - განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა.

1. ა(ა)იპ - საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასისთვის პროფესიული მომზადების პროგრამის - შინმოვლა /00405/ და პროფესიული გადამზადების პროგრამის - შინმოვლა /00404/- განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ იურიდიული პირის წარმომადგენლებთან დააზუსტა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის მიერ წარმოდგენილ დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს ჰკითხა, იცნობდნენ თუ არა ექსპერტის დასკვნებს. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნებს.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა, ლანა გაჩეჩილაძემ, აღნიშნა, რომ იურიდიული პირის სამართლებრივ ფორმად წარმოდგენილ განაცხადაში მითითებული იყო სს - სააქციო საზოგადოება, თუმცა საჯარო რეესტრში ფიქსირდება, როგორც ა(ა)იპ, შესაბამისად, დღის წესრიგში და გადაწყვეტილებებში გასწორდა აღნიშნული ტექნიკური უზუსტობა.

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტმა, გიორგი ბერიამ, აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამის „შინმოვლა“ და პროფესიული გადამზადების პროგრამის „შინმოვლა“ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ის და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების კოორდინატორი, ლანა გაჩეჩილაძე, იმყოფებოდნენ ვიზიტზე ა(ა)იპ - საქველმოქმედო ფონდ საქართველოს კარიტასში.

გიორგი ბერიამ საბჭოს წევრებს გააცნო ხარვეზი და ყველა გაცემული რეკომენდაცია:

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამაში „შინმოვლა“ დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზი:

ქვესტანდარტი 1.4

მომზადების პროგრამის დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება და მინიმალური ასაკი - 18 წელი. პროგრამის სასწავლო თემატიკის გათვალისწინებით, მაშინ როცა პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია მხოლოდ საბაზო განათლება და ასაკი 18 წელი, რთული იქნება 18 წლის ახალგაზრდისთვის, ყოველგვარი გამოცდილების გარეშე განახორციელოს მოვლა, ზოგ შემთხვევაში საკმაოდ მძიმე გერიატრიულ ბენეფიციართან და შეასრულოს ისეთი მანიპულაციები, როგორიცაა მაგალითად: ზოდით კვება, მენტალური დარღვევების დროს ადეკვატური რეაგირება და ა.შ. მით უფრო, რომ მომზადების პროგრამისთვის წარმოდგენილი სასწავლო თემატიკა გადამზადების პროგრამის მსგავსია 90%-

იანი დამთხვევით, სადაც მოითხოვება საშუალოზე მაღალი განათლება, და ასევე, ექთნის კვალიფიკაცია.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროფესიული გადამზადების პროგრამასთან მიმართებაში არ ჰქონდა დაფიქსირებული ხარვეზი. მან საბჭოს წევრებს გააცნო რეკომენდაციები ორივე წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებით, რომელიც მიეცა იურიდიულ პირს:

ქვესტანდარტი 1.6

სასურველია, პროგრამაში ჩაერთოს პირველადი გადაუდებელი დახმარების თემატიკა, რაც საერთაშორისო სტანდარტით ბევრ განვითარებულ ქვეყანაში სავალდებულოა ისეთი არასამედიცინო პროფილის ინსტიტუციების თანამშრომლებისათვის, რომლებსაც შეიძლება შეხება ჰქონდეთ გადაუდებელ მდგომარეობებთან (პოლიცია, სახანძრო, სხვადასხვა საველე სამუშაოები და ა.შ). აღნიშნულ შემთხვევაში კი შინმოვლის მომსახურებისას ბენეფიციარების მდგომარეობიდან გამომდინარე, ნებისმიერ დროს შეიძლება დადგეს გადაუდებელი მდგომარეობა.

ქვესტანდარტი 1.6

გადამზადების პროგრამაში (სასწავლო კვირა 9) წარმოდგენილია რიგი საექთნო მანიპულაციებისა (ნაზოგასტრალური ინტუბაცია, ტრაქეის სანირება, შარდის ბუშტის კათეტერიზაცია), რომელიც ჰოსპიტალური მანიპულაციებია და რთულად განხორციელდება ბინის პირობებში შესაბამისი სამედიცინო გუნდისა და ჰოსპიტალური გარემოს არარსებობის შემთხვევაში, რადგან შესაძლოა განვითარდეს გართულებები და ვერ იქნას თავიდან აცილებული გადაუდებელი მდგომარეობა. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია, რომ თუ ვერ მოხერხდება ამოღება, ზოგადად, თეორიულად შევეხოთ აღნიშნულ მანიპულაციებს და შევეცადოთ, არ მოვახდინოთ ტრაქეის სანირება. პროგრამაში და მის შინაარსში არ იყო ნათლად წარმოდგენილი, რა სიღრმეს და სპეციფიკას მოიცავს აღნიშნული მანიპულაციები და კონკრეტულად რითია გამოწვეული მათი შინმოვლის თავისებურებები. ზოგადად, პროგრამაზე შეიძლება ითქვას, რომ ყველა თემატიკა, რაც იფარება აღნიშნული გადამზადების პროგრამით, გავლილი აქვს ექთნის პროფესიის მატარებელ პირს და მთელი აქცენტი უნდა გაკეთდეს კონკრეტულ შინაარსზე, თუ რაშია შინმოვლის თავისებურებების სხვაობა. აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ სასწავლო პრეზენტაციები არ იყო ამ სპეციფიკით წარმოდგენილი.

შემდეგ საბჭოს წევრებმა ექსპერტს კითხვები დაუსვეს:

მარიკა ზაქარეიშვილი დაინტერესდა, თუ რატომ არის 18 წელი პრობლემა, რაზეც გიორგი ბერიამ უპასუხა, რომ 18 წლის გამოუცდელ მსმენელს გაუჭირდება მოვლის განხორციელება და რისკი მაღალია, როგორც პაციენტისთვის, ასევე 18 წლის მსმენელისთვისაც. მარიკა ზაქარეიშვილი ჩაეკითხა, შესაძლებელია თუ არა სხვა დაშვების წინაპირობები ჰქონდეს ასეთ პროგრამას, რაზეც ექსპერტმა მიუგო, რომ დაშვების წინაპირობად შეიძლება დაემატოს სამუშაო გამოცდილება.

საბჭოს წევრი, თამაზ ბახტაძე, დაინტერესდა, ასაკი რომ იყოს გაზრდილი იყო თუ არა თემატიკა შესაბამისი ასეთი პროგრამისთვის. ექსპერტმა უპასუხა, რომ თემატიკა არ შეესაბამება პროგრამას

და საბაზისო მოვლაზე უფრო მეტია. მაგალითად, ზონდით კვება და არაადეკვატურ გერიატრიულ პაციენტთან მუშაობა. მისი თქმით, ახალგაზრდა მსმენელისთვის ფსიქოლოგიურად ძალიან რთული იქნება პრაქტიკის დროს ბინაზე პაციენტებთან მუშაობა.

ნინო ტალიაშვილი დაინტერესდა, თუ რომელ დაწესებულებებში შეიძლება მუშაობდეს მომვლელი. ექსპერტის თქმით, ჰოსპისში და პალიატიური ზრუნვის ცენტრებში ვერ იმუშავებს ამ პროგრამის გავლის შემდეგ მსმენელი. თემატიკა არ შეესაბამება პროგრამას და გაუჭირდება მუშაობა.

თამაზ ბახტაძემ ექსპერტს ჰკითხა, თუ რაში ხედავდა გამოსავალს, გაიზარდოს ასაკი, თუ შეიცვალოს თემატიკა და გაიზარდოს სწავლების დრო? ექსპერტმა აღნიშნა, რომ დრო უნდა გაიზარდოს. პროგრამა უნდა იყოს უფრო ხანგრძლივი, რომ ფსიქოლოგიურად უკეთესად მოემზადოს მსმენელი ამ საქმიანობისთვის.

თამაზ ბახტაძემ ექსპერტს ჰკითხა, მისი აზრით, რომელი სამედიცინო მანიპულაციის ჩატარება არ შეიძლება ბინაზე და რატომ. გიორგი ბერიამ უპასუხა, რომ ბინაზე არ შეიძლება შემდეგი სამედიცინო მანიპულაციების ჩატარება: ტრაქეის სანაცია, ნაზოგასტრალური ინტუბაცია, რადგან ეს პროცედურები არის ჰოსპიტალური და სახლის პირობებში ამის გაკეთება დაუშვებელია.

ნიკოლოზ მესხიშვილი დაინტერესდა, შეესაბამება თუ არა პროგრამას სახელმძღვანელო, რომელიც მითითებულია სასწავლო რესურსად. ექსპერტის თქმით, მას მთელი წიგნი არ ჰქონდა წაკითხული, მაგრამ გადახედა და არის რაღაც საკითხები რაც შეესაბამება (მაგალითად, მოვლის ელემენტები), თუმცა, ალბათ, ვერ დაფარავს სრულად პროგრამას.

შემდეგ ეტაპზე კომენტარი გააკეთა საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასის წარმომადგენელმა.

წინაპირობაში 18 წელთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს შრომის კოდექსის კარი II, თავი II, მუხლი 4-ის მიხედვით, სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი და შრომითი ქმედითუნარიანობა წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 23 ივლისის №01-54/ნ ბრძანებაში ,,სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა მომსახურების მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ'', პერსონალის მიმართ მოთხოვნაში არ არის მითითებული ასაკი, ასევე ასაკი არ არის მითითებული შშმ პირთა დღის ცენტრის მომსახურების სტანდარტში.

რაც შეეხება რისკებს, ანალოგიურად რისკის შემცველია, მაგალითად, 18 წლის ასაკის ადამიანისთვის მართვის მოწმობის გაცემა, მაგრამ ეს კანონით ნებადართულია. ვფიქრობთ, რომ ნებისმიერი ასაკის ადამიანს უნდა ჰქონდეს შანსი, თუკი აქვს სურვილი, ისწავლოს აღნიშნულ პროგრამაზე. კარიტასის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ, გარდა ასაკისა, მათ წინაპირობაში ჩადებული აქვთ ასევე გასაუბრება ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით, გერმანულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, სადაც დაშვების წინაპირობა არის მხოლოდ ასაკი და გასაუბრება.

შემდეგ საბჭოს წევრებმა კითხვები დაუსვეს საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასის წარმომადგენლებს:

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ ქუჩულორიამ, დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, დარწმუნებული იყო თუ არა, რომ საქართველოს კანონმდებლობით ასეთი ტიპის დაწესებულებებში არ არის მითითებული ასაკი, რაზეც მან უპასუხა, რომ შეუძლია საბჭოს წარმოუდგინოს აღნიშნული დოკუმენტები, რომლებიც თან ჰქონდათ წამოღებული.

ნიკოლოზ მესხიშვილი დაინტერესდა, თუ რას გაარკვევდა გასაუბრება. დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ მიქაძემ აღნიშნა, რომ გასაუბრების დროს არკვევენ, რამდენად მზად არის პირი მორალურად, ისწავლოს ამ პროგრამაზე, გააჩნია თუ არა თანაგრძნობის, ემპათიის უნარი. მისი თქმით, ისინი აცნობიერებენ, რომ შერჩევის კრიტერიუმი არის სუბიექტური, თუმცა ფიქრობენ, გასაუბრებაში ასევე ჩართონ პროექტის ფსიქოლოგი. ასევე, შესაძლებელია, გასაუბრება ჩატარდეს სხვადასხვა ვიდეო და ფოტომასალის გამოყენებით, სადაც გამოჩნდება, რამდენად არის ადამიანი მზად, ისწავლოს ამ პროგრამაზე.

მარიკა ზაქარეიშვილმა დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, შეათანხმეს თუ არა პროგრამა უცხოელ პარტნიორებთან და რამდენად თანხვედრაშია ის გერმანულ პროგრამასთან, როგორც საათობრივი, ასევე შინაარსობრივი კუთხით. მარიამ მიქაძემ უპასუხა, რომ პროგრამას დეტალურად გაეცნენ გერმანელი პარტნიორები, ის მოწონებულია როგორც გერმანიის კარიტასის, ასევე ძირითადი დონორის (გერმანიის ეკონომიკური განვითარების სააგენტოს) მოვლის ექსპერტების მიერ და თანხვედრაშია საათობრივი დატვირთვის კუთხით (ასეთი ტიპის პროგრამა გერმანიაში არის მაქსიმუმ 180 საათი).

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რატომ არ გაითვალისწინეს პირველადი გადაუდებელი დახმარების ჩართვა პროგრამაში, რაზეც მარიამ მიქაძემ უპასუხა, რომ პირველადი გადაუდებელი დახმარების დამატება პროგრამაში მნიშვნელოვანია და გასათვალისწინებელი რეკომენდაციაა, თუმცა სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული სტანდარტით, არცერთი ასეთი ტიპის დაწესებულებისთვის არ არის სავალდებულო, პერსონალს ჰქონდეს ეს კურსი გავლილი.

გიორგი გამყრელიძის შეკითხვა იყო, რამდენად მოთხოვნადია ეს პროფესია ბაზარზე და რამდენია საშუალოდ შრომის ანაზღაურება ექთნისთვის ან მომვლელისთვის შინმოვლის პირობებში? დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, შავ ბაზარზე, ზოგადად, ძალიან მოთხოვნადია როგორც მომვლელი, ასევე ექთნის ბინაზე მომსახურება, გამომდინარე იქიდან, რომ საყოველთაო დაზღვევა არ ითვალისწინებს სტაბილურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის ჰოსპიტალურ მომსახურებას. შავ ბაზარზე მომვლელის ანაზღაურება მერყეობს 600-900 ლარამდე, გააჩნია საათობრივ დატვირთვას, ხოლო ექთნის მომსახურება 24 საათიანი მომსახურების შემთხვევაში დღეში 120-150 ლარია.

ნინო ტალიაშვილი დაინტერესდა, რატომ შეუძლია მომვლელს, დასაქმდეს სხვა დაწესებულებაში, რაზეც მარიამ მიქაძემ უპასუხა, რომ ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებები, რომელიც ჩამოთვლილია პროგრამის აღწერილობაში, სადაც შეუძლია მსმენელს, დასაქმდეს კურსის გავლის შემდეგ, არის საოჯახო ან სათემო დაწესებულებები, სადაც არის სახლის პირობები. ნინო ტალიაშვილი ჩაეკითხა, ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებები არ არის

საავადმყოფოს ტიპის? მარიამ მიქაძის თქმით, შეეძლო წარმოედგინა დოკუმენტი - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 4 მარტის ბრძანება №01-9/ნ ,,სამედიცინო დაწესებულებების კლასიფიკაციის განსაზღვრის თაობაზე'', სადაც დეტალურად არის გაწერილი, როგორი ტიპის არის ხანგრძლივი მოვლის დაწესებულება.

ნინო ტალიაშვილი ასევე დაინტერესდა, თუ რა განსხვავებაა წარმოდგენილ ორ პროგრამას შორის შინაარსობრივად. მარიამ მიქაძემ მას უპასუხა, რომ პირველი და მნიშვნელოვანი განსხვავება არის ის, რომ ერთი პროგრამა არის მომზადება და მეორე გადამზადება. მეორე მნიშვნელოვანი განსხვავება არის სწავლის შედეგები: გადამზადების პროგრამის ყველა შედეგი ეფუძნება საექთნო შეფასებას, საექთნო მოვლას და საექთნო მართვას, რასაც ვერ ვიტყვით მომზადების პროგრამაზე, მომზადების პროგრამაზე მსმენელი სწავლობს მოვლის საბაზისო პრინციპებს. ძალიან დიდი განსხვავებაა საექთნო მოვლასა და ჩვეულებრივ საბაზისო მოვლას შორის, თემატიკა არის ერთნაირი, თუმცაღა მნიშვნელოვნად განსხვავდება შინაარსობრივი მხარე და შინაარსის სიღრმე და მოცულობა.

თამაზ ბახტაძე დაინტერესდა, სამედიცინო პროცედურების რა თავისებურებას ითვალისწინებს შინმოვლა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მე-9 კვირის სწავლის შედეგი - საექთნო მართვა შინმოვლის თავისებურებების გათვალისწინებით, რომელიც ითვალისწინებს საექთნო მანიპულაციების და პროცედურების სახლის პირობებში შესრულებას, მოიცავს მხოლოდ 15 საათს და ამ დროში მოხდება თეორიულად, ინტერაქტიული ლექციის საშუალებით, სამედიცინო პროცედურების და მანიპულაციების სტანდარტული პროტოკოლების გამეორება, ხოლო პრაქტიკულად მხოლოდ შინმოვლის თავისებურებების სწავლება და უნარ-ჩვევების განვითარება. მაგალითად: ნაზოგასტრალური ინტუბაციის დროს მნიშვნელოვანია საწოლის თავი წამოიწიოს 45^0 კუთხით. სახლის პირობებში, სადაც პაციენტი არ წევს საავადმყოფოს საწოლზე, 45^0 კუთხის მიღება შესაძლებელია სამზარეულოს სკამით. ასევე, მაგალითად, შარდის ბუშტის კათეტერიზაციის დროს მნიშვნელოვანია პაციენტი იწვეს სწორ მყარ ზედაპირზე, შინმოვლის შემთხვევაში შეიძლება პაციენტი იწვეს რბილ საწოლზე და საჭირო გახდეს სხვადასხვა დამხმარე საშუალებებით სწორი პოზიციის შექმნა. პროგრამა შემუშავებულია 25 წლიანი მუშაობის გამოცდილებაზე დაყრდნობით, შესაბამისად, ეს შედეგი მოიცავს მხოლოდ იმ თავისებურებების სწავლებას, რასაც ითვალისწინებს შინმოვლა. ასევე არსებობს სამედიცინო პროცედურები, რომლებსაც პაციენტები და მისი ოჯახის წევრები თვითონ აკეთებენ აუცილებლობის შემთხვევაში, იგივე ტრაქეოსტომის სანაციას.

ნინო ტალიაშვილმა მარიამ მიქაძეს ჰკითხა, თუ რამდენად არის სამედიცინო მანიპულაციების ჩატარების აუცილებლობა სახლში, რაზეც მან უპასუხა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ ხანგრძლივი მოვლა და შინმოვლა შეიძლება ითვალისწინებდეს სამედიცინო პროცედურების ჩატარებას სახლში, რაც დასტურდება სამედიცინო დაწესებულებების კლასიფიკაციის განსაზღვრის შესახებ მინისტრის დადგენილებით, აუცილებელია ექთანმა, რომელიც იმუშავებს შინმოვლაში ან სხვა მოვლის დაწესებულებაში, იცოდეს ეს თავისებურებები.

თამაზ ბახტაძემ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, მისი აზრით, რომელი პროგრამა უფრო მნიშვნელოვანია - მომზადება თუ გადამზადება. მარიამ მიქაძის თქმით, გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფო შინმოვლის მომსახურების ინტეგრირებას ჯანდაცვის სისტემაში ვერ

ახერხებს იმ არგუმენტით, რომ ქვეყანაში არ არიან ამ სფეროს სპეციალისტები (ექთნები და მომვლელები) ორივე პროგრამა მნიშვნელოვანია, რადგან შინმოვლის სტანდარტი, რომელზეც აქტიურად იმუშავეს როგორც მისმა, ასევე სხვა შინმოვლის მიმწოდებელმა ორგანიზაციებმა, ითვალისწინებს როგორც ექთნების, ასევე მომვლელების დასაქმებას შინმოვლის სახელმწიფო პროგრამაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები და უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასისთვის პროფესიული მომზადების პროგრამის „შინმოვლა" განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 2

წინააღმდეგი - 5

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ ქუჩულორიამ, დამატებით განმარტა, რომ „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის 131-ე დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, საბჭო გადაწყვეტილებას იღებს საბჭოზე დამსწრე წევრთა არანაკლებ ¾-ით, 5 წევრი არის დამსწრე წევრთა 5,25, საბჭოს გადაწყვეტილება ამ კონკრეტულ შემთხვევაში მიღებულად შეიძლება ჩაითვალოს.

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად,

ა(ა)იპ - საქველმოქმედო ფონდ საქართველოს კარიტასს (ს/კ: 405033501) უარი ეთქვას პროფესიული მომზადების პროგრამის - ,,შინმოვლა'' - განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებაზე.

გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 20 თებერვლიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასისთვის პროფესიული გადამზადების პროგრამის „შინმოვლა“ განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

ა(ა)იპ - საქველმოქმედო ფონდ საქართველოს კარიტასს (ს/კ: 405033501) მიენიჭოს უფლება, განახორციელოს ქვემოთ მოცემული პროფესიული გადამზადების პროგრამა:

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
00404	შინმოვლა	გადამზადება	მესამე	12	ქართული	30	ქ. თბილისი, არ. ქურდიანის ქ. №3

გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 20 თებერვლიდან.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის განხილვამდე, საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა და კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ 2019 წლის 24 დეკემბერს გამართულ საბჭოს სხდომაზე შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვის შედეგად, საბჭოს გადაწყვეტილებით, მათ მიეცათ 1 თვიანი გამოსწორების ვადა ოთხი პროგრამის - „რეგიონული დონის გამყოლი", „ტუროპერატორი - რეგიონული დონე", „ქალაქის/დედაქალაქის გიდი", „ეკო/სასოფლო ტურისტული მიმართულების ტუროპერატორი" - ხარვეზების გამოსასწორებლად და რეკომენდაციების გასათვალისწინებლად (აღნიშნულის შესახებ ასახულია პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომის ოქმშიც - სხდომის ოქმი N3; 24.12.2019). საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა ისიც, რომ ამ სხდომისთვის საბჭოს აპარატის მიერ საბჭოს მიეწოდა დაწესებულების მიერ დადგენილ ვადაში გამოსწორებული განახლებული პროგრამები (ოთხი პროგრამიდან მხოლოდ სამი პროფესიული გადამზადების პროგრამა: „რეგიონული დონის გამყოლი", „ტუროპერატორი - რეგიონული დონე" და „ქალაქის/დედაქალაქის გიდი", რადგან ერთზე - „ეკო/სასოფლო ტურისტული მიმართულების ტუროპერატორი" - უნივერსიტეტმა ითხოვა წარმოების შეწყვეტა), თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ დარგის ექსპერტს არ შეუსწავლია განახლებული გადამზადების პროგრამები, რადგან ამას არ ითვალისწინებდა "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილება (შემდგომში - მთავრობის №131 დადგენილება), საბჭო ვერ იღებს გადაწყვეტილებას პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების ან არმინიჭების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოს თავმჯდომარემ დაავალა საბჭოს აპარატს (პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური), უზრუნველყოს წარმოდგენილი განახლებული სამი პროგრამის ექსპერტული შესწავლა. კონკრეტულად, დაევალოს დარგის ექსპერტს პროგრამების შესწავლა მთავრობის №131 დადგენილების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად.

საბოლოო გადაწყვეტილებას საბჭო მიიღებს წარმოდგენილი დასკვნების შესაბამისად.

აღნიშნულის საფუძველზე, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 საკითხების განხილვა გადაიდო.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ 20:30 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
მარიამ ქუჩულორია

სხდომის მდივანი
მარიკა ზაქარეიშვილი